

Image not found or type unknown

არასრულწლოვანი დაზარალებულის საქმე საია-მ წარმატებით დაასრულა

საიას ბუგდიდის ოფისი იცავდა არასრულწლოვანის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეში, რომელიც ეხებოდა 16 წლის ასაკს მიუღწეველი პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ფაქტს (ორ ეპიზოდს).

ბრალდებულს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც წინასწარი შეცნობით თექვსმეტ წელს მიუღწევლთან სექსუალური ხასიათის შეღწევას გულისხმობს.

ბუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენით, გადაკვალიფიცირდა წარდგენილი ბრალდება და ბრალდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 255² -ე მუხლის პირველი ნაწილით (სრულწლოვანის მიერ წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირისთვის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შეხვედრის შეთავაზება მის მიმართ ამ კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მიზნით, როდესაც შეთავაზებას მოჰყვა ასეთი შეხვედრისკენ მიმართული ქმედებები).

ბუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრდა როგორც დაცვის, ასევე ბრალდების მხარის მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, განიხილა მხარეთა საჩივრები და ცვლილება შეიტანა ბუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენში. საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 140-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა 07 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულმა გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოშიც, თუმცა, საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი და სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი დარჩა უცვლელი.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

